ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 8-19/011819116627-17

"10." 10. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ც. დადიანის ქუჩა №265–267-ში (საკ. კოდი №01.12.11.037.091) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (სექტორი 2) - IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2755882 22.08.2016წ.

ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ც. დადიანის ქუჩა №265–267-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ტერიტორიაზე შეცვლილია გამწვანებული ფართის ფორმა. „1-1" ღერძის გარეთ გაუქმებულია კედელი და ლითონის დაბალი ღობე.

„დ-ა" ფასადზე პანდუსის გადახურვაზე დამატებულია ხის დეტალები. „გ-ბ" მონაკვეთში ლითონის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური კედელი. +29.70 ნიშნულზე შეცვლილია კედლის ფორმა.

„4-1" ფასადზე შეცვლილია კარის ნახატი. შეცვლილია მოაჯირების ნახატი.

„1-4" ფასადზე ±0.00 ნიშნულზე „3-4" მონაკვეთში შემცირებულია ორი ფანჯრის სიგანე.

„ა-დ" ფასადზე +29.70 ნიშნულზე შეცვლილია კედლის ფორმა.

შეცვლილია ფასადების დაფერვა. დამატებულია კონდიციონერები და წყლის მილები.

-2.70 ნიშნულზე არ არის მოწყობილი ლითონის ცხაურები.

-2.70 ნიშნულზე „გ-ე" მონაკვეთში 30ს30 კოლონებს მონაცვლებული აქვს ადგილი.

±0.00 ნიშნულზე „3-1" მონაკვეთში გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა.

„4-2" მონაკვეთში შეცვლილია შ.შ.მ.პ. პანდუსის გაბარიტი და ფორმა.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს "ლდ დეველოპმენტი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ც. დადიანის ქუჩა №265–267-ში (საკ. კოდი №01.12.11.037.091) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (სექტორი 2) - IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01181911627-17 10.07.2018წ. განცხადება.
№წ-19/01181911627-17 11.07.2018წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე